

საიდ. №70348/03

IR 1141003

გ ა დ ა წ ე ვ ა ტ ი ლ ე ბ ა №42-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქართველოს სამეცნიერო კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ქ. ქ. (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, მ. ბ. თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „გეს?, ინკ.”-ს (Guess?, Inc.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №42-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქართველოს“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №2594/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „GJ“ (საიდ. №70348/03 IR 1141003) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 25-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში ასევე, 25-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (25-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის №2594/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „GJ“ დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია 25-ე კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლისათვის კომპანიის „GAUDI' TRADE S.P.A.“ სახელზე (მისამართი: Via Nuova Ponente, 29, I-41012 CARPI (MO)), საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „GJ GAUDÌ JEANS“ (საერთ. №1106652) (რეგისტრაციის და გაავრცელების თარიღი: 05.12.2011). ექსპერტის დასკვნის თანახმად, ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით. ორივე სასაქონლო ნიშანში შემავალი სიტყვიერი აღნიშვნა „GJ“, ვიზუალურად და ჟღედადობრივად იმდენად მსგავია, რომ არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკი, ხოლო „GAUDÌ JEANS“ არ ანიჭებთ მათ საკმარის განმასხვავებელუნარიანობას, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ ნიშანს ნაწილობრივ, 25-ე კლასის საქონლის ნაწილში უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „გეს?, ინკ.“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნაკლებად შესაძლებელია მოხდეს ნიშნების აღრევა, ვინაიდან დაპირისპირებული ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსი, კერძოდ, განცხადებული სიმბოლო მოიცავს მხოლოდ ორ ლათინურ ასოს „G“ (ჯი) და „J“ (ჯე), ასოები მთავრულია, სტანდარტული და განლაგებულია სტილიზირებული ფორმით, ანუ ასო „J“ (ჯე) მოთავსებულია „G“-ს (ჯი) შუაში და თან კვეთს მას. იგი ქართულად იკითხება როგორც „გჯ“. დაცული სასაქონლო ნიშანი №1106652, მოიცავს ორ სიტყვას და ამ სიტყვების შემოკლებას, კერძოდ, GAUDÌ JEANS GJ („გაუდი ჯინს“). აპელანტის პოზიციით, მართალია, აღნიშნულ ნიშანში ასევე, შედის ორი ლათინური ასო „G“ (ჯი) და „J“ (ჯე), მაგრამ განცხადებული ნიშნისგან ისინი განსხვავდება, როგორც შრიფტით, ასევე, განლაგებით, შრიფტი არასტანდარტულია და ასოები განლაგებულია ერთმანეთის გვერდიგვერდ, ნიშნებს შორის განსხვავებას აძლიერებს სიტყვიერი ელემენტები

„GAUDÌ JEANS“, რაც პირდაპირ მიანიშნებს საქონლის კომერციულ წყაროზე „გაუდი“ ტრეიდ ს.პ.ა.“-ს (GAUDÌ TRADE S.P.A.) და იცავს მომხმარებელს აღრევისგან. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაცული და განცხადებული სასაქონლო ნიშნების თანაარსებობა განცხადებული 25-ე კლასის საქონლის მიმართ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №2594/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „GJ“ (საიდ. №70348/03 IR 1141003) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 25-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში ასევე, 25-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეყნების თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „GJ“ (საიდ. №70348/03 IR 1141003) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „GJ GAUDÌ JEANS“ (IR 1106652) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან როგორც განცხადებული, ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. განცხადებული ნიშანი

შედგება ორი სტანდატულად შესრულებული ასომთავრული ლათინური ასოსაგან „GJ”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება ასევე ორი სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოსაგან „GJ” და ორი ლათინური სიტყვისაგან „GAUDÌ JEANS“, მაგრამ განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად შედის დაპირისპირებულ ნიშანში. როგორც განცხადებულ ისე დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში ძირითადი დატვირთვა მოდის ორი ასოსაგან შემდგარ სიტყვიერ აღნიშვნაზე „GJ”, რომელიც ორივე ნიშნის შემთხვევაში წარმოადგენს აბრევიატურას. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ჯი ჯეი”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, კი როგორც „ჯი ჯეი გაუდი ჯინს”. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საწყის ნაწილად წარმოდგენილია, სწორედ ორი ასო „GJ”, რომელიც იდენტურია განცხადებული სასაქონლო ნიშნისა, სწორედ ამ ორ ასოზე მოდის განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა და მომხმარებელიც აღქმის თვალსაზრისით სწორედ აღნიშნულ ორ ასოს აღიქვამს პირველად და იმახსოვრებს უკეთესად. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია სემანტიკურად, რადგან როგორც განცხადებული ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომპანიისა და ჯინსის აბრევიატურას „GJ“ (Guess Jeans) და „GJ“ (Gaudi Jeans). აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ზრდის განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობას. მსგავსია ასევე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების 25-ე კლასის საქონლის ჩამონათვალიც, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის აღნიშნული საქონლის მიმართ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეეგანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „GJ“ (საიდ. №70348/03 IR 1141003) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტოან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

ð ð ð ð ð ð ð ð ð ð ð ð ð

1. კომპანიის „გეს?, ინკ.”-ს (Guess?, Inc.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
 2. ძალში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის №2594/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.
 3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

30

၁၂၃

a. b.

ლ. ჭიჭინაძე